ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №52 სხდომის ოქმი

2011 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის“ დირექტორის, სრული პროფესორის გიორგი ნოდიას უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
2. უნივერსიტეტის წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ელიავას ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის წერილის განხილვა და გადაწყვეტიების მიღება;
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრის სასერტიფიკატო პროგრამა FCE გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი ინგლისურ ენაში;
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

6. ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსის, მარიანა ბურდულის წარდგინების განხილვა იმ შემოერთებული ინსტიტუტების შესახებ, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილით არ განისაზღვრა პრიორიტეტულად;
7. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის მაგისტრანტისათვის ჯუანშერ ჯეჯელავასათვის დარგობრივი კომისიისა და რეცენზენტების დანიშვნის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;

4. გია ნოდია;

5. მალხაზ მაყაშვილი;

6. გიორგი მენაბდე;

7. გიგა ზედანია;

8. ლევან ხეთაგური;

9. დავით მიქელაძე;

10. ივანე მურუსიძე;

11. გიორგი ბახტაძე.

2011 წლის 18 ივლისის აკადემიური ი საბჭო ს ხდომაზე დადგინდა:

1. დადგინდეს - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით, რადგან აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 ივნისს 51-ე სხდომაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლას“ დაუმტკიცდა სამეცნიერო - კვლევითი პროგრამა, აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ამ აკადემიური საბჭოს არსებობის ვადით შევიდეს სრული პროფესორი გიორგი ნოდია.

2. დადგინდეს - მოწონებულ იქნას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47[1] მუხლის დამატება, რომელიც განსაზღვრავს ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხს და აღნიშნული ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგინდეს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ელიავას ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, რევაზ ადამიას 2011 წლის 02-8239/11 განცხადებისა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაფუძნდეს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ელიავას ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი“ კერძო სამართლის არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირად და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ენების ცენტრის სასერტიფიკატო პროგრამა „FCE გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი ინგლისურ ენაში“

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 18.07.11№03-7444/11 რეკომენდაციის გათვალისწინებით.

5. **დადგინდეს** - არაკორექტული საქციელისათვის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თხოვნის შეუსრულებლობისათვის მიეცეს რეკომედაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, გათავისუფლდეს ი. ი. პროფესორის აკადემიური თანამდებობიდან.

7. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა სასწავლო საათობრივი დატვირთვის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი წარმოდგენილი სახით და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს. 2011 წლის 2 აგვისტოდან დაიწყოს ტრენინგები პროფესორებისათვის სასაწავლო კურსების ჩაწერისათვის.

8. **დადგინდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის მაგისტრანტის ჯუანშერ ჯეჯელავასათვის შექმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ანდრია როგავა - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორ-ემერიტუსი გიორგი მაჩაბელი, ასოცირებული პროფესორი - მიხეილ მაზიაშვილი, ასოცირებული პროფესორი - პავლე მიდოდაშვილი, სრული პროფესორი - თინათინ კახნიაშვილი, ასოცირებლი პროფესორი ზურაბ თავართქილაძე, ხოლო რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ასოცირებული პროფესორი ზურაბ თავართქილაძე, მერაბ გოგბერაშვილი (თსუ), არჩილ კობახიძე (თსუ/მელბურნის უნივერსიტეტი).

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია თევზაძე